პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 38 (6103) 1978 წ. 22 თებერვალი ოთხშაბათი ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს ალკკ XXXI ყრილობა

## სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის პრიზიორის, ევროპის თასის მფლობელის ნანა იოსელიანის გამოსვლა

...ვცემულო დელეგატებო!
...თვის დიდი პატივია რესპუბ... სპორტული ახალგაზრდობის ...ით მოვესალმოთ საქართველოს ...შირის XXXI ყრილობის დელე...! მინდა მოგითხროთ იმ საკი..., რომელიც მე და ჩემს მეგო... სპორტსმენებს გვაღელვებს.
...რტზე, მის მომავალზე, სპორ... ახალგაზრდობაზე საუბარი კომ...ისათვის სწორედ რომ საყრი... საუბარია, რადგან სპორტი და ...ზრდობა ერთი მთლიანი მცნე...განუყოფელი ნაწილებია.
...რტი ზრდის ჯანსაღ, ხალისიან ... — ქვეყნის ხვალინდელ დღეს, ...მაც ჩვენთან ივი სახელმწიფო... საქმედაა მიჩნეული.
...ვიც საჩეზეა — ფიზკულტურა ...პორტი მტკიცედ დამკვიდრდა საბ... ადამიანების ყოველდღიურ ცხო.... ყველას გვახარებს ოლიმპი...ფლიო და ევროპული რანგის ...რებებში საბჭოთა სპორტსმენების ...ებები. ამ მიღწევებში დიდია ...რესპუბლიკის წარმომადგენლების ..., რომლებმაც ოლიმპიურ ას...ობებზე 20 ოქროს, 16 ვერცხ... 24 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.
...ტო მოჭადრაკეთა უკანასკნელი ... წარმატებები რად ღირს. ნო...რინდაშვილი — მსოფლიოს ხუთ...ჩემპიონი, ნანა ალექსანდრია — ... ქვეყნის პირველობის სამგზის ...ვებული, ზურაბ აზმაიფარაშვი... — საბჭოთა კავშირის პირველი ...ული ჩემპიონი ჭაბუკთა შორის. ... ბოლოს მაია.
...ოეული ჩვენგანის ყურადღება ...ულია ბად-კისინგენისკენ, სა...ვი წარმატებით იბრძვის მსოფ... ჩემპიონთან შეხვედრის უფლე...ისაპოვებლად.
...ურუოთ მაიას გამარჯვება. დაე, ... ბევრჯერ ვყოფილიყავით მსო... ჩემპიონობისთვის ორი ქართ... მოჭადრაკის უშეღავათო პაექ... მომსწრენი!
...ვცემულო დელეგატებო!
...ნასკნელ ხანებში ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობისათვის. მხედველობაში მაქვს ახალი სპორტული ბაზები, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია, დახურული მძლეოსნური მანეჟის, ველოტრეკის საექსპლოატაციოდ გადაცემა, სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში მთელი რიგი სპორტული კომპლექსების მშენებლობის დაჩქარება.

მაგრამ ამ მხრივ გასაკეთებელი კიდევ ბევრია და სწორედ აქ უნდა თქვას საქართველოს კომკავშირმა თავისი ომახიანი სიტყვა. მხარი უნდა დავუჭიროთ დედაქალაქის საქარხნო რაიონის მშრომელთა და ახალგაზრდობის ინიციატივას — „დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს — 60 სპორტული ბაზა!", მათ ხომ შესძლეს სიტყვის შესრულება — 60-ის ნაცვლად 74 მარტივი ტიპის სპორტული მოედანი მოაწყეს.

განა მოსაწონი არ არის მულახელი კომკავშირელების მაგალითი, რომლებმაც რამდენიმე თვეში თვითონ ააგეს მშვენიერი კომპლექსი, სადაც დღეს უკვე დიდი მონდომებით ეუფლებიან ბავშვები კრივს, ჭიდაობას, ძალოსნობას, ჭადრაკს, ხელბურთს, კალათბურთსა და სპორტის სხვა სახეობას.

ამ ბოლო წლებში შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა — საზაფხულო არდადეგების დროს ასობით სტუდენტური სამშენებლო რაზმი რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებში სხვადასხვა ობიექტებს აშენებს. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მაგრამ იმავე რაიონებში, სადაც სტუდენტი მშენებლები შრომობენ, არა ერთი და ორი ჯერ დაწყებული, მერე მივიწყებული სპორტული ბაზაა. კარგი იქნებოდა, თუ ეს რაზმები სპორტული ბაზების მშენებლობაზეც მოაწყობენ დაგეგმილ გასვლებს.

საქართველოს სამართლიანად უწოდებენ სპორტულ რესპუბლიკას. ჩვენს ახალგაზრდობას იტაცებს სპორტის ყველა სახეობა, მაგრამ განა ყველა მოყვარულს შეუძლია დაოსტატდეს სპორტის ამორჩეულ სახეობაში? სამწუხაროდ, არა. თუნდაც ორი, დიდად პოპულარული და საინტერესო სპორტის სახეობა ავიღოთ — ფიგურული ციგურაობა და ჰოკეი.

ფიგურული ციგურაობის მოყვარულთათვის ცნობილია ჩვენი გოგონებისა და ჭაბუკების მიერ საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებული წარმატებები, მაგრამ სამწუხარო ფაქტია, რომ ქართველ მოციგურავეთა რესპუბლიკური ჩემპიონატი ტარდება... იჟევსკში, რაც გამოწვეულია იმით, რომ არა გვაქვს სტანდარტული ზომის ყინულის სარბიელი. ბოლო ხანებში ბევრი ითქვა ფიგურული ციგურაობის სტანდარტული მოედნის მშენებლობაზე, გადაწყდა პროექტის შექმნაც, მაგრამ ჯერჯერობით საქმე ადგილიდან არ დაძრულა. იმ თანხით კი, რასაც ჩვენი ნაკრები 1965 წლიდან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ვარჯიშის საფასურად ხარჯავს, თავისუფლად აშენდებოდა ერთი სტანდარტული სარბიელი. მით უმეტეს, რომ თბილისის სპორტის სასახლეს კარგა ხანია გააჩნია ამის მატერიალური საფუძველი — 6 ძვირადღირებული სამაცივრო დანადგარიდან მხოლოდ ორია გამოყენებული. არადა ფიგურული ციგურაობის სტანდარტული მოედნის აშენებით საშვილიშვილო საქმე გაკეთდებოდა — მოციგურავეებთან ერთად აქ ნორჩი ჰოკეისტებიც აიდგამდნენ ფეხს.

სპორტთან სიახლოვე საფუძველს მაძლევს დაწვრილებით შევჩერდე ბავშვთა ფიზკულტურის პრობლემურ საკითხებზე, მით უმეტეს, რომ ისინი გულისხმობენ არა მარტო საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე რესპუბლიკის სპორტული პრესტიჟის დაცვას, არამედ უპირველესსა და უმთავრესს — მოზარდი თაობის ჯანმრთელობას, მის ჰარმონიულ, სულიერ და ფიზიკურ აღზრდას. სადაც არ უყვართ ფიზკულტურა და სპორტი, სადაც პატივს არ სცემენ მას, იქ ყოველთვის დაბალია შრომის ნაყოფიერება და აკადემიური მოსწრება. ჩემივე სკოლიდან, თბილისის 130-ე საშუალო სკოლიდან მოვიყვან მაგალითს: აქ მე-6³ კლასში, სადაც 32 მოსწავლეა და სპორტულ საქმიანობაში მხოლოდ ექვსი ბავშვია ჩაბმული, საშუალო აკადემიური მოსწრება 78 პროცენტს შეადგენს. ავადმყოფობის მიზეზით მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენათა რიცხვი საკმაოდ დიდია — 1180 საათი. მე-6² კლასში, კი — სადაც თითქმის ყველა მოსწავლე სპორტულ სექციაში მეცადინეობს, აკადემიური მოსწრება 100-პროცენტიანია, ავადმყოფობის მიზეზით გაცდენილი საათების რაოდენობა კი სულ უმნიშვნელო.

საბედნიეროდ, ასეთი აკადემიური ჯგუფების რაოდენობა ჩვენს სკოლებში დღითი-დღე იზრდება, შესაბამისად უმჯობესდება სწავლის ხარისხი. ეს კარგი ტენდენციაა, სასარგებლო ტენდენცია, რომელსაც წახალისება და განმტკიცება სჭირდება. თუმცა დამეთანხმებით, რომ ზოგიერთი მშობლის გაგებით ფიზკულტურაში მიღებულ ორიანს მნიშვნელობა არა აქვს, რადგან უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვისას ფიზკულტურა მაპროფილებელ საგნად არ ითვლება.

ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს კომკავშირი მრავალ კარგ საქმეს ჩადგომია სათავეში და წარმატებითაც გადაუწყვეტია. მე და ჩემი მეგობრები დარწმუნებულნი ვართ, რომ კვლავაც ასე იქნება. მით უმეტეს, ახლა, როცა ფიზკულტურა და სპორტი ახალ სიმაღლეებს მიწვდა, როცა საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი გამარჯვებები მშრომელი ხალხის წარმატებათა ორგანულ ნაწილად იქცა. ასეთ დროს ჩვენს წინ მდგომი ამოცანებიც ახლებურ მნიშვნელობას იძენენ: თითოეული ახალგაზრდა, თითოეული კომკავშირელი უნდა დადგეს ფიზკულტურული მოძრაობის სათავესთან, თითოეულმა მათგანმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ მის გვერდზე არავინ დარჩეს მშდ სამკერდე ნიშნის, სპორტული სექციის გარეშე.

## თხილამურები

# ამჯერად მხოლოდ ერთი ბრინჯაო

ლაჰტის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე დღე საბჭოთა მოთხილამურეებისთვის შედარებით უიღბლო გამოდგა — ორ სახეობაში მხოლოდ ერთი მედალი მოიპოვეს და ისიც ბრინჯაოსი. ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბენაში შესანიშნავად მომზადებული აღმოჩნდნენ მასპინძლები. ოქროს მედალი მოიგო ფინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჰ. ტაკალომ — 18.53,50. მეორე ადგილიც მისმა თანაგუნდელმა ჰ. რიჰივუორიმ დაიკავა — 18.58,49.

საბჭოთა სპორტსმენებმა რ. სმეტანინამ (19.01,3) და გ. კულაკოვამ (19.08,83) III და IV ადგილები მოიპოვეს.

იმ დღეს შეჯამდა ორჭიდში შეჯიბრების შედეგებიც. 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ ლიდერობდა მასპინძელი რ. მიეტინენი — (232 ქულა). 15 კილომეტრზე რბენაში მან მონაპოვარი ვერ შეინარჩუნა, ის კი არა ექვსეულშიც ვერ დაიკავა ადგილი, მაგრამ პირველი დღის წარმატებამ მას საშუალება მისცა ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მიეღო — 431,66 ქულა.

მსოფლიო ჩემპიონი გახდა კ. ვინკლერი (გდრ). ამ სპორტსმენს ხტომაში მეორე მაჩვენებელი (224,6 ქულა) ჰქონდა, 15 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებულ ა.-ნ. გრანლინთან (ნორვეგია — 48.22,27) მხოლოდ 2,39 წამი წააგო და VI ადგილი დაიკავა, მაგრამ ესეც საკმარი გამოდგა, რომ ორჭიდის ჯამში 435,24 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასულიყო. III ადგილზე გავიდა უ. ველინგი (გდრ) — 430,83.

საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო გახლდათ ი. ვორონინი — 418,4 (VI ადგილი), ა. მაიოროვმა და ნ. ნოგოვიცინმა შესაბამისად მე-11 (410,45) და 15-ე (401,88) ადგილები დაიკავეს, ხოლო ვ. კოპაევი 372,79 ქულით 23-ე ადგილს დასჯერდა.

# ფინალში გავიდნენ

ინცელში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრება ყინულზე მოტორბოლაში. ტოლიატელმა ა. ბონდარენკომ 27 ქულა მოაგროვა. მას ს. ტარაბანკო (ნოვოსიბირსკი) და ა. გლადიშევი (ირკუტსკი) თითო ქულით ჩამორჩნენ. II ადგილი მიეკუთვნა ტარაბანკოს. ეს ტრიო 4-5 მარტს ჰოლანდიის ქალაქ ასენში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გამოვა.

# მიეძღვნა კომკავშირის იუბილეს

...უდაუთის სპორტული სკოლის ...ბაზმა, რომელიც 1974 წელს ...ა მწყობრში, უკვე ასამდე რა...ულ, რესპუბლიკურ და საკავ...ო შეჯიბრებას უმასპინძლა. სა...ველოს კომკავშირის XXXI ...ლობის დღეებში ამ ბაზაზე მიმ...რეობდა ფრენბურთელ გოგო... ტრადიციული ტურნირი, რო...ც ამჯერად ლენინური კომ...რის მე-60 წლისთავს მიეძღ.... შეჯიბრებაში სოხუმის, სოჭის, ტყვარჩელის და გუდაუთის ნორჩი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. გაიმარჯვეს ტყვარჩელელმა გოგონებმა, II და III ადგილებზე შესაბამისად სოხუმისა და სოჭის კოლექტივები გავიდნენ.

მოსწავლეთა მარტის არდადეგების პერიოდში ასეთივე ტურნირი ჭაბუკ ფრენბურთელთათვის ჩატარდება.

თ. ბაქრაძე.

# ყინვიან კვირა დღეს

საბჭოთა არმიის სახელოვან ...ღეს მიეძღვნა გარბენი, რომ... მონაწილე 50 მძლეოსანმა ყი... კვირა დღეს ზელენოგრად-... მოსკოვის დამცველთა მემო...თან აილო სტარტი. ფინიში ...ოვში უცნობი ჯარისკაცის სა...თან იყო მოწყობილი. მარა...ლები, რომლებმაც 42300 მ ...ბინეს, გზა და გზა ჩერდებოდ... ომში დაღუპულ მებრძოლთა ...ებთან.
...შესანიშნავია, რომ მონაწილეთაგან (რომელთა ნახევარი დიდი სამამულო ომის მონაწილეა) ყველაზე უმცროსი იყო 18 წლის ლაბორანტი ნ. კატკოვი, ხოლო ყველაზე უფროსი — 74 წლის ყოფილი მეშახტე მ. კოტლიაროვი. ახალგაზრდებისთვის ეს იყო სამხედრო წრთობის, მამაცობის, გამძლეობის თვალსაჩინო გაკვეთილი. ზოგიერთმა მონაწილემ მთელი დისტანცია ცივ ზამთრის დღეს მაისურებითა და ტრუსებით გაირბინა. (საკდესი).



საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის სტუმრები — ნია-გრუზინსკაიას მშენებლები: მარცხნიდან — ვ. არობელიძე, ა. ლომიძე, ვ. რუხაია, ა. დვალიშვილი და ა. ლილუაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## ფრენბურთი

...ლენინგრადსა და ვოროშილოვ...ში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ფრენბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ნახევარი. ბოლო მატჩები ასე დასრულდა: **ლენინგრადი.** „ავრორა" (რიგა) — „კიროვეცი" (ნოვოსიბირსკი) 3:1, „ურალოჩკა" (სვერდლოვსკი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 3:1, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ცსკა 3:1; **ვოროშილოვგრადი.** „ლოკომოტივი" (მოსკოვი) „მოპი" (მოსკოვის ოლქი) 0:3, სკიფი (კიევი) — „ავტომობილისტი" (ტაშკენტი) 2:3, „ისკრა" (ვოროშილოვგრადი) — „დინამო" (მოსკოვი) 1:3.

ახლა სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: „ურალოჩკას" და „ისკრას" 14-14 ქულა აქვთ, „დინამოს" — 13, „სპარტაკს" — 10, „ავტომობილისტს" და „ავრორას" — 9-9, ცსკა-ს — 8, „ნეფთჩის" — 6, „მოპის" — 5, „ლოკომოტივს" და სკიფს — 3-3, „კიროვეცს" — 2.

# წინ რთული მოსახვევებია

## ღირსშესანიშნავ თარიღებს მიეძღვნა



**საქართველოს** დოსააფის სპორტტექნიკურ კლუბს კარგი ტრადიცია აქვს: საბჭოთა არმიის დღისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ზეიმის აღსანიშნავად ყოველწლიურად მართავს ამ თარიღებისადმი მიძღვნილ შეჯიბრებებს ტექნიკურ სახეობებში.

რუსთავის მახლობლად იალღუჯის მთის ფერდობებზე გასულ შაბათ-კვირას ჩატარდა ერთი ასეთი ასპარეზობა — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მე-60 და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 57-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოტოკროსი, რომლის სტარტზე თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, თელავის, სამტრედიისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების 17 გუნდი შეგროვდა.

ტურნირი ახალი ფორმულით გამართა: მონაწილეებს ეძლეოდათ მხოლოდ ორ-ორი ცდის უფლება. გამარჯვებისთვის მებრძოლების მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებოდა მონაწილეს, რომელიც მეორე ცდაზე უკეთეს ადგილს დაიკავებდა.

უამინდობის გამო სველი, მძიმე ნიადაგი რბოლას აფერხებდა — მანქანებს რთულ აღმართებზე ასვლა უჭირდათ, რის გამო 1700-მეტრიან ტრასაზე ტრამპლინების რიცხვი შემცირდა.

შესანიშნავად ორგანიზებულმა ტურნირმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა — ორივე დღეს ათეულ ათასობით თბილისელი და რუსთაველი ადევნებდა თვალს დაძაბულ და საინტერესო ასპარეზობას.

შაბათს ჩატარდა 175 კბ სმ-ის მანქანებით იუნიორების და ეტლიანი მანქანებით რბოლა. მოზარდთა შორის იმარჯვა ბავშვთა და მოზარდთა სპორტტექნიკური რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელმა ა. ზუგაევმა, რომლის თანაგუნდელი ვ. ჩუბუღოვი მესამე იყო. მას აჯობა თბილისის სპორტტექნიკური კლუბ „ელვას" წარმომადგენელმა ა. ბელოუსოვმა.

ეტლიანი მოტოციკლეტებით რბოლის ყველაზე მაღალი კლასი გამოავლინა რესპუბლიკური სპორტტექნიკური კლუბის დუეტმა (ნ. გაბიდოვი, რ. ტაზაგულოვი), რომელმაც საგრძნობლად ჩამოიტოვა რუსთავის გუნდის (ე. ვაშურინი, ვ. გომერშმიდტი) ეკიპაჟი. სოხუმის სპორტტექნიკურ კლუბ „სამხრეთის" სპორტსმენები ე. პოლიაკოვი და ვ. მამონტოვი მესამე ადგილს დასჯერდნენ.

კვირას კიდევ სამი კლასის მოტოციკლეტებით რბოლის შედეგები შეჯამდა. 350 და 500 კბ სმ-ის მანქანებით ასპარეზობაში ექვსი საპრიზო ადგილი ოთხ მონაწილეს შორის განაწილდა. საქმე იმაშია, რომ რამდენიმე ოსტატი ორივე კლასის მანქანაზე ცდიდა ძალას. სამტრედიელი სპორტის ოსტატი ვ. სიტნიკი პირველი იყო 350 კბ სმ-ის მოტოციკლეტების რბოლაში, 500-ანებით კი ფინიშთან მესამე მივიდა. თბილისის არმიელთა სპორტკლუბის წევრმა სპორტის ოსტატმა ვ. კუდრიავცევმა შესაბამისად მეორე და პირველი ადგილები დაიკავა.

ასკ-ს სპორტსმენები შეჯიბრებაში საკმაო რაოდენობით მონაწილეობდნენ და მაღალი შედეგებიც აჩვენეს. 350 კბ სმ-ის კლასის მანქანებით რბოლაში III ადგილი ერგო ლ. ნარიკაშვილს (თბილისის სპორტტექნიკური კლუბი „ოქტომბერი"), თბილისის არმიელმა ა. ფიოდოროვმა კი 500-ანებით რბოლაში მეორე ადგილი დაიკავა.

რუსთაველმა სპორტის ოსტატმა ნ. ჩვანოვმა 175 კბ სმ-ის მოტოციკლეტებით მრბოლელთა შორის ორივე ცდა დიდი უპირატესობით მოიგო. აქ მომდევნო ადგილები ხვდათ ვ. ველიკანოვ[...] (რესპუბლიკური სპორტტექნიკ[...]რი კლუბი) და ა. სისაურს („ო[...]ტომბერი").

საერთო გუნდურ ჩათვლაში გა[...]მარჯვება და საქართველოს დოს[...]აფის ცენტრალური კომიტეტ[...] გარდამავალი პრიზი მოიპოვა „ო[...]ტომბერმა" (მწვრთნელი ნ. შ[...]ნია) — 384 ქულა. II ადგილზ[...] რუსთავის ავტოსკოლა — 374, II[I] — სოხუმის „სამხრეთი" — 333.

თბილისის დოსააფის საქალა[ქო] კომიტეტის სპეციალური პრიზი გ[...] დაეცა არმიელთა შორის საუკეთ[ე]სო მოტოციკლეტისტს ვ. კუდრია[ვ]ცევს.

* * *

სურათზე: რბოლა დაიწყ[ო].
ო. გელაშვილის ფოტ[ო].

# კარგი გაკვეთილი

### მძლეოსნობა

**ლენინგრადის** მანეჟში გაიმართა გოგონებისა და ჭაბუკების ზამთრის საკავშირო შეჯიბრება მძლეოსნობაში. სარბიელზე გამოვიდნენ იმ ასაკის მოზარდები, რომლებმაც ექვსიოდე თვის შემდეგ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში უნდა იასპარეზონ. ამიტომ ლენინგრადის სტარტებში ძალების დათვალიერებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გამარჯვებისთვის 25 გუნდი იბრძოდა, პირველ ჯგუფში — ცხრა, მეორე ჯგუფში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებიც გამოდიოდა — თექვსმეტი (აქ გუნდების შემადგენლობა გაცილებით მცირერიცხოვანი იყო).

პირველი ჯგუფის კოლექტივების შეჯიბრებაში რსფსრ-ს ნაკრებს (465 ქულა) უკრაინის გუნდი 22 ქულით ჩამორჩა, ლენინგრადის პირველმა კოლექტივმა 425 ქულა მოაგროვა და III ადგილზე გავიდა.

მეორე ჯგუფში პრიზიორები გახდნენ მოსკოვის ოლქის (165 ქულა), ჩელიაბინსკის ოლქისა (153) და უზბეკეთის სპორტსმენები — 152. საქართველოს მძლეოსნები 109 ქულით X ადგილს დასჯერდნენ. ეს შედეგი, თუ მას სპარტაკიადის საზომით მივუდგებით, საიმედოს არ წარმოადგენს.

თუ ჩვენი მოზარდების მიერ ლენინგრადის სტარტებში მოპოვებულ შედეგებს თბილისის მანეჟში გამართულ ასპარეზობაში მათსავე მაჩვენებლებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ უმეტესობამ ისინი გააუმჯობესა, მაგრამ მაინც საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა.

საქართველოში მოსწავლეთა შორის მძლეოსნობის დანერგვისა და განვითარებისთვის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლები, მოზარდთა სპორტსკოლები და სპეციალური ჯგუფებია მოწოდებული. მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ცუდად მუშაობენ, რესპუბლიკაში გაჭირდა 12-14 ათლეტის მოძებნა, რომლებიც ზამთრის საკავშირო ტურნირში მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებდნენ.

მაშ რისი იმედი უნდა ვიქონიოთ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში? ბევრი არაფრის. არადა, როგორც ცნობილია, მოსწავლეთა წლევანდელი სპარტაკიადის შედეგები 0,3 კოეფიციენტით სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში შედის. მაშასადამე, წლევანდელ სტარტებში მოგროვებულ ქულებს შეიძლება გაისად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ადგილების განაწილებაში.




ვემზადოთ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის

ამოცანა ასეთია: მოსწავლეთა სპარტაკიადის სტარტებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ, რომ დაკარგული როგორმე ავანაზღაუროთ, რისთვისაც მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა ძალა და ენერგია არ უნდა დაზოგონ.

საქართველოს წარმომადგენლებმა ლენინგრადში მხოლოდ ორი საპრიზო ადგილი დაიკავეს: სამხტომში ა. ნერსესიანი მეორე იყო — 14,89 (პირველობა მოიგო ყაზახეთის გუნდის წევრმა ი. უსოვმა — 15,17), ბიჭების სიგრძეზე ხტომაში კი გ. ჩადუნელი III ადგილზე გავიდა — 678 სმ. იგი ჩემპიონს, ლენინგრადელ გ. კალინიჩენკოს 33 სანტიმეტრით ჩამორჩა (ჩვენი გუნდის მეორე სამხტომელი ვ. დენისოვი VI ადგილზეა — 14,48).

ბიჭების ასპარეზობაში ვ. თოფურიძემ 60 (7,1) და 100 მეტრზე (11,2) შესაბამისად ვ. ბოიკოსა (უკრაინა) და ა. ევგენიევთან (ლენინგრადი) 0,3 და 0,4 წამი წააგო და საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ ქ. მაჩაიძეს, დ. კალაძეს, ო. წიკლაურსა და ვ. საბანაძეს, რომლებმაც მაინცდამაინც ვერაფრით გაგვახარეს.

გოგონებიდან ო. ვიქტოროვამ 60 და 100 მეტრზე სცადა ძალა. ბრძოლა პირველობისთვის იმდენად დაძაბული იყო, რომ 60 მეტრზე გამარჯვებულ ე. მალანოვასთან (მოსკოვის ოლქი) მან მხოლოდ 0,1 წამი წააგო და მაინც VIII ადგილს ვერ ასცდა. მეორე დისტანციაზე კი ლენინგრადელ ნ. ბოგინას 0,4 წამით ჩამორჩა და IX ადგილი დაიკავა. ლ. წინწალაშვილი 800 მეტრზე რბენაში ათეულში ვერ შევიდა. მისი ბედი გაიზიარა ლ. შალიგინამ 60 და 100 მეტრზე თარჯრბენში, ო. ვერშინინამ — ხუთჭიდში.

არადა, ლენინგრადში საქართველოს საუკეთესო ძალები წავიდნენ. იქ ორკვირიანი შეკრების ჩატარებაც მოასწრეს და, როგორც რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მძლეოსნობის განყოფილების უფროსმა ე. გაგუამ გვითხრა, კარგადაც ივარჯიშეს, მაგრამ... ორი კვირა არც ისე დიდი დროა თვეების დანაკარგი რომ აენაზღაურებინათ.

ლენინგრადის სტარტები ყველასთვის კარგი გაკვეთილი იყო, რის საფუძველზეც საქართველოს მოსწავლე-მძლეოსანთა ნაკრების ხელმძღვანელებმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

**ო. ივლოშვილი.**

### ჭიდაობა

## ხალიჩაზე ჯრიან მოსწავლეები

**ფალავანთა** კლუბში სამ დღეს გრძელდებოდა თბილისის ღია პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში მოსწავლეთა შორის, რომელშიც 1961-63 წლებში დაბადებული 168 ფალავანი მონაწილეობდა. აღნიშნული ასპარეზობის მიზანი ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენა იყო, იმათი, ვინც მონაწილეობას მიიღებს ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონატში.

წონითი კატეგორიების მიხედვით თბილისის ჩემპიონები გახდნენ: გ. კენჭოშვილი, რ. გულმამედოვი, ს. პაპიაშვილი, ვ. ღარიბაშვილი, ძმები რ. და კ. ხარშილაძეები, ნ. წერეთელი, ო. ივანიძე, ზ. გენგაშვილი, გ. ყარყარაშვილი, გ. ტოგოევი, დ. ლავითური.

**ამავე** ასაკის თავისუფალ[...]ლის მოჭიდავეთა დედაქალაქ[...] სწავლეთა ღია ჩემპიონატში [...]ლისის, კასპის, რუსთავის, [...] დაბნისა და გლდანის სპორ[...]ლის 212 მოჭიდავე მონაწ[ილეობ]და.

წონითი კატეგორიების მ[...]ვით I ადგილები მოიპოვე[...] გოქსაძემ, ნ. ქობულაშვილ[...] ბზარაშვილმა, პ. კაჭახიძემ, [...] ციტაძემ, გ. გოგრიჭიანმა, ო.[...]ლიშვილმა, ბ. ლევინჯილიამ, [...]ლიშვილმა, ჯ. ზურაბიშვილ[...] ნარიკაევმა, ე. გასიტაშვილ[...] პაპიაშვილმა.

ზ. ქო[...]

# ასპარეზობენ კოლმეურნეები

### ძალოსნობა

**თელავში** სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს პირველობა ძალოსნობაში. შეჯიბრებაზე სამი ასაკობრივი ჯგუფი იყო დაშვებული. 1961-63 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის გუნდური პირველი ადგილი აჭარის წარმომადგენლებმა დაიკავეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ ბ. დვალი, გ. მესხი, ვ. ხაჩატურიანი, მ. შერვაშიძე, ბ. ღონიევი, მ. სამსონია, გ. იარალოვი და გ. ლომთათიძე.

1958-60 წლებში დაბადებულთა შორის I ადგილი საჩხერელებს ხვდათ. პირად ჩათვლაში კი გაიმარჯვეს დ. დევიძემ, ი. იანარკაუსკასმა, ზ. ქურცაძემ, ი. გაფრინდაშვილმა, თ. რიონიძემ.

უფროსი ასაკის იუნიორთა შორის თელაველებმა გაიმარჯვეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონების სახელი მოიპოვეს ნ. ღოღაძემ, შ. მელიქიანმა, ზ. ჯაშიაშვილმა, გ. თოდაძემ.

**მ. შავიშვილი.**

# რესპუბლიკის თოვლიან ბილიკებზ[ე]

**ონში,** ბოლთის ტერიტორიაზე გაიმართა რაიონის პირველობა სათხილამურო სპორტში. შეჯიბრება ორ ჯგუფად ჩატარდა. პირველ ჯგუფში საწარმოთა და დაწესებულებათა სპორტსმენები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მეორეში — მოსწავლეები. სულ სარბიელზე 10 კოლექტივის 100-ზე მეტი მოთხილამურე გამოვიდა.

პირველ ჯგუფში ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოსა და ონის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა I და II ადგილები გაინაწილეს, ვინაიდან მათ ყველა მაჩვენებელი ერთნაირი აღმოაჩნდათ. III ადგილზე გავიდა პიპილეთის საბჭოთა მეურნეობის გუნდი.

მოსწავლეთა შეჯიბრებაში იმარჯვა გლოლის საშუალო სკოლის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე არიან ონის მე-2 და ირის საშუალო სკოლების სპორტსმენები.

პირად პირველობაში 3X3 კილომეტრზე ესტაფეტაში ყველას აჯობეს ირელებმა, ხოლო 3X5 კილომეტრზე ვაჟების ესტაფეტა გლოლელებმა მოიგეს. ვაჟთა შორის 5 კილომეტრზე რბენაში ჩემპიონი გახდა ლ. რაზმაძე (ონის სამკერვალო ფაბრიკა), 10 კილომეტრზე — გ. მაისურაძე (ჩორდის მაღარო). მოსწავლეთა შორის ამ დისტანციებზე პირველი ადგილები გლოლელებმა ე. და მ. ბიჭაშვილებმა დაიკავეს.

გოგონათა შორის 3 და 5 კილომეტრზე ასპარეზობაში ფინიშთან პირველი მივიდნენ ი. მაისურაძე (ონის მე-2 სკოლა) და ლ. მაისურაძე (ირის სკოლ[ა]), [...]ლო ქალებში ორივე დისტან[ციაზე] ნ. ბიჭაშვილმა (პიპილეთის მ[ეურ]ნეობა) იმარჯვა.

**ნ. დუშუაშვი[ლი].**
**თ. კერვალიშვი[ლი].**

* * *

**ცისკარას** ფერდობებზე [...] დღეს გაგრძელდა აჭარის „[...]თიადის" საოლქო საბჭოს პ[...] გუნდური პირველობა სათხ[ილა]მურო სპორტში. შეჯიბრებაში [მო]ნაწილეობდა 9 კოლექტივის [...] სპორტსმენი. ქალთა შორის 5 [კი]ლომეტრზე რბენაში იმარჯვა [...]უმის ნავთობგადასამუშავებ[ელი] ქარხნის თანამშრომელმა ი. [...]ნოვამ, ხოლო 3X3 კილომეტ[რზე] ესტაფეტაში — საყოფაცხოვ[რებო] მომსახურების მანქანების ქა[რხ]ტრიომ. ქალთა შორის 10 კ[ილო]მეტრზე ასპარეზობა მოიგო [...]ბოიაროვამ (ბათუმის მანქანათ[მშე]ნი ქარხანა).

ვაჟთა შორის 5 და 10 კილ[ომე]ტრზე რბენაში ჩემპიონი გახდ[ა ...]სი თანაგუნდელი ვ. როქკოვ[...] ლო 4X5 კილომეტრზე ეს[ტაფე]ტაში უძლიერესი აღმოჩნდა ს[აყო]ფაცხოვრებო მომსახურების მ[ანქა]ნების ქარხნის გუნდი.

საერთო გუნდური პირველ[ობა] ამ ქარხნის ნაკრებმა დაისაკუ[თრა]. მომდევნო ადგილებზე გავ[იდნენ] მანქანათსაშენი და ნავთობგ[ადა]სამუშავებელი ქარხნების მო[თხი]ლამურეები.

**ო. მურვანი[ძე]**
(ჩვენი კო[რ.])

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივის მოყვარულთა კუთხე

**სპორტში** მეტად საძნელოა ყოველგვარი მიღწევა. ამიტომაც გაკვირვებას იწვევს ისეთი უნიკუმების არსებობა, რომელნიც აჭარბებენ საკუთარ შესაძლებლობებს და არც ასაკს დაგიდევენ დიდად.

კრივის ისტორიამაც იცის ასეთი უნიკუმები.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანის ზოგად დახასიათებას. მოკრივე უნიკუმების შესახებ ცნობები ამოვკრიფეთ და ვთარგმნეთ ს. გრადოპოლოვის, ა. შოციკასის, ვ. პოპენჩენკოს და ვ. ჩუდნოვის წიგნებიდან.

**ე. გიორგაძე,**
**საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.**

### რობერტ ფიტსიმონსი

სახელგანთქმულმა მოკრივემ რობერტ ფიტსიმონსმა მსოფლიო ჩემპიონობა 37 წლის ასაკში მოიპოვა, იმ ასაკში, როცა მოკრივეები ან უკვე კარგახნის ვეტერანები არიან, ან კარიერას ამთავრებენ. საოცარია ისიც, რომ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ფიტსიმონსი საშუალო წონის მოკრივე იყო. კრივის ნიუანსებში ოდნავ ჩახედული პიროვნებაც კი მიხვდება თუ რაოდენ ძნელია ეს, თითქმის შეუძლებელიც. ფიტსიმონსი 76 კილოგრამს იწონიდა. თავდაპირველად ამ წონაში გახდა მსოფლიო ჩემპიონი. იგი მეორე მსოფლიო ჩემპიონი გახლდათ ამ წონაში. პირველი იყო „შეუდარებელი" ჯეკ დემპსი. (მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის თანამოსახელე). დემპსი ფიტსიმონსმა დაამარცხა 1891 წლის 14 იანვარს, შემდგომ ამისა მან იწყო გამოსვლა მძიმე წონით კატეგორიაში ისე, რომ წონა არ მოუმატებია. ფიტსიმონსმა დაამარცხა მძიმე წონის საუკეთესო მოკრივეები, მიაღწია ფინალამდე და 1897 წელს ფინალში ნოკაუტით მოუგო კორბეტს. როცა ქვემძიმე წონითი კატეგორია შემოიღეს, მან ჩემპიონობა მოიპოვა ამ წონაშიც, დაამარცხა ჯორჯ გარდნერი 1903 წლის 14 ნოემბერს, თუმცა ორი წლის შემდეგ წააგო ჯეკ ო'ბრაიენთან.

შიფტპონჩი მისი ძირითადი ტაქტიკური ხერხი იყო. იგი ბრძოლის დასაწყისში მარცხენა ხელის ცრუ მოძრაობით აბნევდა მოწინააღმდეგეს, ყურადღებას უსუსტებდა. შემდგომ ამისა ნახევარი ძალით ურტყამდა, ანდა ყასიდად უქნევდა მარჯვენას სახის არეში. მეტოქეს აიძულებდა ხელები აეწია ზემოთ სახის დასაცავად და მერე მთელი ძალით ურტყამდა მარცხენა აპერკოტს. იგი მოწინააღმდეგეს მოაჩვენებდა,ვითომ ძალა გამოცალა. არეული ნაბიჯით იწყებდა რინგზე მოძრაობას, გაიშხლართებოდა კიდეც ხანდახან. ასე აკარგვინებდა მეტოქეს კონტროლს, შემდგომ კი...

ფიტსიმონსი ცაცია გახლდათ. ეს ერთგვარ უპირატესობას ანიჭებს მოკრივეს, მაგრამ იგი მუდამ ჩვეულებრივ დგომს ირჩევდა. წინ გაწვდილი ძლიერი მარცხენათი გზას იკაფავდა ჯებისა და ჰუკის მეშვეობით. ინფაიტინგში დიდ წარმატებას აღწევდა ამგვარი ხერხით. აბნევდა მეტოქეს. გრძელ დისტანციაზე ბრძოლით მოღლიდა, ინფაიტინგში კი თავისუფლად მუშაობდა ორთავე ხელით.

მან საოცრად დიდხანს შეინარჩუნა ბრძოლის უნარი (47 წლის ასაკამდე). ამ ასაკში, ასე გასინჯეთ, 13 რაუნდი გაუძლო ავსტრალიის ჩემპიონ ბილ ლანეს.

პროფესიით მჭედელი ფიტსიმონსის აღნაგობა მოკრივისთვის იდეალურად მიაჩნიათ. იმდროინდელი ჟურნალისტის თქმით, მას ჰქონდა მსუბუქი წონის მოკრივის ფეხები, ტორსი — ჩამოსხმული, ვითა საშუალო წონის მოკრივეს, ხოლო ხელები — შესაშური მძიმე წონის ფაიტერთათვის.

### ევგენი ოგურენკოვი

ამ მართლაც გასაკვირმა სპორტსმენმა რინგზე ფეხი აიდგა როგორც მსუბუქი წონის მოკრივემ, შემდეგ გადაინაცვლა ქვესაშუალო წონაში, ბოლოს საშუალოში და ყველა ამ წონით კატეგორიებში დაიმსახურა საბჭოთა კავშირის პირველი ხელთათმანის სახელი.





**სურათებზე:** რობერტ ფიტსიმონსი; ევროპის ექს-ჩემპიონის, „ოქროს ხელთათმანის" პრიზის მფლობელის პოლონელ კ. კოჩინსკისა და ე. ოგურენკოვის (მარცხნივ) ორთაბრძოლა, რომელიც 1947 წელს ვარშავაში გაიმართა და დამთავრდა საბჭოთა მოკრივის გამარჯვებით; რეი რობინსონი; ტონი გალენტო (ქვევით — მარჯვენა ფოტო).

# უნიკუმები

ამდენს მიაღწია არცთუ ძლიერი ფიზიკური აღნაგობის ადამიანმა, რომელიც სისტემატური ვარჯიშით იქცა ყოველმხრივ განვითარებულ სპორტსმენად. მისი ბრძოლები არასოდეს ჰგავდა ერთმანეთს. იგი ტაქტიკას ირჩევდა იმის მიხედვით, თუ როგორ მოწინააღმდეგეს ხვდებოდა. ოგურენკოვი არ აძლევდა მეტოქეებს საშუალებას გამოეყენებინათ მათთვის ჩვეული ხერხები, არახელსაყრელ ვითარებას უქმნიდა და თავზე ახვევდა საკუთარ ტაქტიკას. ერთნაირად იოლად ებრძოდა სრულიად განსხვავებული მანერის მოკრივეებს, რომელთაგან ბევრი სახელოვანი გახლდათ. საკმარისია დავასახელოთ ცნობილი უნგრელი მოკრივე, ევროპული კრივის მშვენება ლასლო პაპი, რომელიც ოგურენკოვმა დაამარცხა.

შვიდჯერ ავიდა იგი ჩვენს ქვეყანაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ოთხჯერ როგორც მსუბუქი წონის, ხოლო სამჯერ, როგორც ქვესაშუალო და საშუალო წონის მოკრივე.

1944 წელს კი მან შეუძლებელი შესძლო. საშუალო წონის მოკრივე ევგენი ოგურენკოვმა მოუგო მძიმე წონის მოკრივე ანდრო ნავასარდოვს და გახდა საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი.

აქვე უნდა ითქვას, ოგურენკოვმა თავი ისახელა თვით ნიკოლაი კოროლიოვთან ბრძოლაში, როცა მან მოინდომა მძიმე წონის მოკრივეთათვის დაებრუნებინა ეს საპატიო ტიტული. კოროლიოვისათვის ეს შეხვედრა იოლი როდი გამოდგა.

მთელი ხუთი რაუნდი უმკლავდებოდა ოგურენკოვი რინგის დიდოსტატს და კოროლიოვმა მხოლოდ ქულებით, მცირე უპირატესობით მოიგო შეხვედრა.

### ტონი გალენტო

ტონი გალენტო ამერიკული პროფესიული კრივის ერთი ყველაზე უცნაურ ფიგურათაგანია. მისი აღნაგობა არამცთუ არასპორტული, არამედ კომიკურიც კი ეთქმოდა.

170 სანტიმეტრი სიმაღლის გალენტო იწონიდა 130 კილოგრამს. გაზეთების რეპორტიორებმა „მოარული ლუდის კასრი" შეარქვეს ამ გოდორა, მოკლე და სქელფეხება სპორტსმენს, რომელიც ყველაფერს ჰგავდა მოკრივის გარდა.

მიუხედავად მძიმე წონის მოკრივის, და საერთოდ სპორტსმენისათვის ასეთი შეუფერებელი აგებულებისა, მას სარეკლამო პლაკატებზე ფაფარაშლილ ლომთან ერთად გამოსახავდნენ. და ასეთი რეკლამა საფუძველმოკლებული როდი გახლდათ.

მართალია „ორტონიანი ტონი" დახვეწილი ტექნიკით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მძაფრი ტემპერამენტისა იყო, ჰქონდა საშინელი ძალის დარტყმა და იბრძოდა აგრესიული ტაქტიკით. მისი მეტად დრამატული ხასიათის ბრძოლები მიმზიდველი გახლდათ სანახაობრივადაც. სწორედ ამიტომ იყრიდა დიდძალი ხალხი თავს ამ მოკრივის გამოსვლების დროს.

გალენტოსათვის უცხო იყო ძალების დაზოგვა. გონგის ხმის გაგონებისთანავე ჟიქურ ეძგერებოდა მეტოქეს და პირველსავე რაუნდებში იგებდა ნოკაუტით.

„მოარული ლუდის კასრი" ამ სახელწოდებას იმითაც ამართლებდა, რომ რაუნდებს შუა შესვენებისას ლუდს გეახლებოდათ და სიგარას აბოლებდა.

კრივისა და საერთოდ სპორტისათვის ამ შეუსატყვისი აღნაგობის მოკრივემ შესძლო ისიც, რომ მეტოქეობა გაუწია თვით ჯო ლუისს. მთელი სამი რაუნდის განმავლობაში ჯაბნიდა იგი „რინგის გენიას".

ტანდაბალმა გალენტომ ამ შეხვედრისას აირჩია დგომი „კრაუჩი", (მოხრილი დგომი), რომელიც ფრიად მოხერხებულია დაცვისათვის. ლუისმა ერთხანს ვერაფერი მოუხერხა ამ ბურთივით შეკრულ უცნაურ მოკრივეს. წააგო პირველი ორი რაუნდი და მესამეში ნოკდაუნიც მიიღო.

ლუისმა მხოლოდ მეოთხე რაუნდში აუღო ალღო შექმნილ ვითარებას. აიძულა გალენტო გახსნილიყო და დიდებული დარტყმით, ნოკაუტით დაამთავრა ბრძოლა.

### რეი რობინსონი

„რკინის ადამიანებად" მონათლეს კრივის მოყვარულებმა რინგის ისეთი ოსტატები, რომელთაც ძალზე დიდხანს შეინარჩუნეს სპორტული ფორმა.

ასეთები იყვნენ ლეგენდარული მექსიკელი კიდ აუტეკა, ამავე ქვეყნის მკვიდრი გალვანა, ინგლისელი ბაქსტონი, ამერიკელი არჩი მური და სხვანი.

მათ რიგს განეკუთვნება ცნობილი ზანგი მოკრივე რეი რობინსონიც.

მისი ბოლოდროინდელი გამოსვლებისა თუ ვარჯიშის დამსწრეთათვის ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს ენერგიული, ვერცხლისწყალივით მოძრავი, 25-27 წლის იერის კაცი, სინამდვილეში უკვე 45 წლისა იყო, მას კი არც ასაკისა ეტყობოდა რაიმე და არ დაღლილობისა.

მის შემხედვარეს ასე გეგონებოდათ, თითქოსდა ეს ადამიანი მთელი სიცოცხლე ცივ ნიავს არ აკარებდა საკუთარ თავს, ზოგავდა და უფრთხილდებოდა ნერვებს, ჯანმრთელობას, მაგრამ საკმარისი იყო გაგეხსენებინათ მისი გოროზი ტიტული (ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონობა), ისიც, ორი ათეული წელი რომ შესწირა, სულისა და სხეულის გამომფიტავ პროფესიულ კრივს და ეს ასოციაციები მყის განქარდებოდა.

რობინსონი უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ მოკრივეებს იწვევდა ხოლმე ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაზე მდებარე სავარჯიშო დარბაზში. ეს იყო ჩვეულებრივი, ზომაზე მეტად პატარა, ერთი კაცისათვის განკუთვნილი დარბაზი. გასაკვირს აქ ვერაფერს ნახავდით, გარდა ერთისა. გასაკვირი იყო თავად რეი რობინსონი.

რობინსონი ატარებდა სამ რაუნდიან ბრძოლას. თითო რაუნდს თითო სპარინგ-პარტნიორთან, — „ცოცხალ ტომარასთან". რინგის ოსტატი ცუდ დღეში აგდებდა სპარინგ-პარტნიორებს, ჩოგბურთის ბურთივით ისროდა რინგის ერთი კუთხიდან მეორეში და ამ ნაცადსა და ამტან მოკრივეებსაც კი ერთი სული ჰქონდათ, როდის გათავდებოდა რაუნდი, რინგიდან გასწრებაზე იყვნენ და გონგის ხმაზე ძლივს გაათრევდნენ ხოლმე ბაწრებშუა სხეულს. რობინსონი ბრწყინვალედ მუშაობდა ფეხებით. იგი განუწყვეტლივ მოძრაობდა, სწრაფად, მოქნილად გადაადგილდებოდა რინგზე, რასაც მოწყვეტილი, შემარყეველი, ზუსტი დარტყმები მოსდევდა. და ეს თვისებები ხელუხლებლივ შემორჩენოდა 45 წლის მრავალჭირნახად, პროფესიონალ მოკრივეს, რომელმაც მთელი ოცი წელი დაჰყო რინგზე.

რინგს ძლიერი, გამორჩეული ფიზიკური მონაცემებით დაჯილდოვებული მოკრივეები შემორჩებიან ხოლმე. გარდა ამისა სპორტულ ფორმას დიდხნობით ძირითადად მაღალტექნიკური მოკრივეები ინარჩუნებენ, ისინი, ვინც ნაკლებად ღებულობენ დარტყმებს. მოკრივის ასაკი ხომ განისაზღვრება არა წლებით, არა ბრძოლათა მრავლობით, არამედ იმით, თუ რამდენი ძლიერი დარტყმა აქვს მას მიღებული. რეი რობინსონი კი დიდად ტექნიკურ მოკრივედ ითვლებოდა.

ასეთია კრივის მცოდნეთა შეხედულება.

ეს მოსაზრება მართებულიცაა. ამგვარი სპორტსმენები სულ სხვაგვარად არიან ნაქსოვნი, მაგრამ გარდა ამისა ამ ადამიანებს უთუოდ მოსავთ სხვაგვარი ნერვიული ძალა, მათი ფსიქო-ფიზიკის ჯერეთ უცნობ, რაღაც მანქანებს უნდა უმადლოდეს უნიკუმები ასეთ გასაოცარ უნარს.

●

**აპერკოტი** — ქვევიდან დარტყმა.
**ჯები** — პირდაპირი დარტყმა.
**ჰუკი** — გვერდითი დარტყმა.
**ინფაიტინგი** — ახლოდან ბრძოლა.

**ფაიტერი** — მოკრივე, რომელიც გამოირჩევა შეუპოვარი, შემტევი ხასიათით.





## მასპინძლობას თავაზობენ

**ვაჟთა** მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩის დაწყებას ფიდე ივლისში აპირებს. ამჟამად მიმდინარეობს შეჯიბრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარება.

ერთ-ერთი მთავარი საკითხია მატჩის გამართვის ადგილი. ფიდე-ს პრეზიდენტმა, პროფესორმა მ. ეივემ განაცხადა, რომ კარპოვსა და კორჩნოის ჯერჯერობით მასპინძლობას სხვადასხვა ქვეყნის შვიდი ქალაქი თავაზობს. ესენია: ბაგიო (ფილიპინები), ჰამბურგი (გფრ), გრაცი (ავსტრია), ჩოკო (იტალია), ლიუცერნი (შვეიცარია), პარიზი (საფრანგეთი) და ტილბურგი (ჰოლანდია).

მასპინძელი ქალაქი თვით მოჭადრაკეებმა უნდა აირჩიონ. ამიტომ ფიდე-ს პრეზიდენტმა მსოფლიო ჩემპიონსა და პრეტენდენტს მიმართა თხოვნით 2 მარტისთვის შეატყობინონ თავიანთი არჩევანი. როგორც ეივემ ჟურნალისტებს უთხრა, კარპოვ — კორჩნოის მატჩის ჩატარების ადგილსა და დროს 16 მარტამდე გამოაცხადებს.

## ჭადრაკი

## თამაშობენ ნახევარფინალისტები

**გრძელდება** საქართველოს ვაჟთა პირველობის ნახევარფინალები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### გორიდან...

აქ მიმდინარე ნახევარფინალში კიდევ სამი ტური გათამაშდა და ფინალის ორი საგზურის მაძიებელთა ძირითადი კანდიდატებიც გამოჩნდნენ.

12 ტურის შემდეგ ნ. ტერაშვილს (რუსთავი) 10,5 ქულა აქვს, დ. ჩაჩიბაიას (თბილისი) და რ. ლომიძეს (გარდაბანი) — 10-10. მათ ქულანახევრით ჩამორჩება ი. სიფრაშვილი (სიღნაღი). მასპინძელთაგან ლიდერთა ჯგუფშია გ. მუკნიაშვილი — 7 ქულა და 1 გადადებული პარტია.

სათამაშო დარჩა სამი ტური.

**ო. დოლიძე,**
**ნახევარფინალის მსაჯი.**

### გეგეჭკორიდან...

გეგეჭკორელები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ნახევარფინალს, რომელიც მძაფრი შეხვედრებით აღინიშნება. ჩანს, რომ ფინალისტები მხოლოდ ფინიშის სწორზე (სათამაშოა ხუთ-ხუთი პარტია) გამოვლინდებიან.

10 ტურის შემდეგ ფინალში გასვლის შანსი აქვთ რ. კაპანაძეს (თბილისი) — 8,5 ქულა, ჟ. მზარელუას (ზუგდიდი) — 7,5, გ. მაჭარაშვილს (თბილისი) — 7, გ. გიორგაძეს (ქუთაისი) — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ჭიპაშვილს (კასპი) და გ. ტყებუჩავას (ცხაკაია) — 6-6.

**ჭ. გვალია,**
**ნახევარფინალის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

კალათბურთი

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

# სიტყვა ხვალინდელ დღეზე

თბილისი. სპორტის სასახლე. 20 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 102:114 (61:51).

„დინამო“: ძიძიგური (4), გარუჩავა, ჩხიკვაძე (1), ბიჭიაშვილი (12), ჩიხლაძე, დერიუგინი (27), გულდედავა (7), მ. ქორქია (37), გრძელიძე (10), ქარსელაძე (4).

„სპარტაკი“: ი. პავლოვი (16), ტარაკანოვი (21), კუზნეცოვი (17), სილანტიევი (12), კაპუსტინი (17), მაკეევი (6), სემიონოვი (7), მახლინი (2), ბელოვი (16).

მსაჯები: მ. ვაინკოპი (მოსკოვი), ი. აბუჩი (რიგა).

დუბლიორები — 59:44 (30:21).

ტყუილად დავიწყებთ შეცდომების ძებნას, ტყუილი იქნება გუშინწინდელი მარცხის ლოგიკის დადგენის ცდა, რადგან უკვე კარგად ნაცნობ მიზეზთა კომპლექსს მივადგებით, ის უსიამო ჭეშმარიტებათა ნაერთი შეგვრჩება ხელში, მწვრთნელებისთვისაც, კალათბურთელებისა და გულშემატკივრებისთვისაც რომ კარგა ხანია ცნობილია. სათქმელად ის გვექნება, იმასვე ვიტყვით, რაც ადრე გვითქვამს — ერთობ არათანაბარია „დინამოს“ შემადგენლობა. სულ ხუთი-ექვსი კალათბურთელი — გუნდის ძირითადი დასაყრდენი, ეს არის და ეს. ამას იქით მხოლოდ ბუნდოვანი, პრაქტიკულად გაუმაგრებელი იმედებია და ყოველ კონკრეტულ მატჩში მის ანაბრად ყოფნა ილუზიებით კვებას უფრო წააგავს. ისიც სათქმელია, რომ სრულფასოვანი მარქაფის უყოლობა სათამაშო დროის გახანგრძლივებასთან ერთად უფრო თვალშისაცემი გახდა.

20 თებერვლის მატჩმა ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, თითქოსდა შესაძლებელი იყო მისი მოგება. შუა თამაშში მართლაც ჩნდება იმის წანამძღვრები, რომ „დინამო“ გაიმარჯვებს. შეხვედრის 21-ე წუთზე ქართველი კალათბურთელები 14 ქულით დაწინაურდნენ. რა თქმა უნდა, ეს სერიოზული განაცხადი იყო, მაგრამ არც ისე საფუძვლიანი. ამ წუთებამდე ხომ „დინამო“ ფაქტიურად ერთი და იმავე ხუთეულით თამაშობდა. „სპარტაკმა“ პრესინგს მიმართა და თანდათან ნათელი ხდება, რომ თბილისელთა რესურსები დაწრეტაზეა. სხვაობა წუთიწუთზე მცირდება — 10 ქულა, 8, 4. მეორე ტაიმის მერვე წუთზე კი ანგარიში გათანაბრდა 71:71. ამის შემდეგ ძალების უზომო დაძაბვის ფასად „დინამო“ კიდევ ინარჩუნებს 2-3 ქულიან სხვაობას. მაგრამ, როცა მატჩის დასრულებამდე 7 წუთით ადრე 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო მოედანი დასტოვეს უკანა ხაზის მოთამაშეებმა ჩხიკვაძემ და გრძელიძემ, მერე კი მათ დერიუგინიც შეუერთდა, ეს მინიმალური სხვაობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. საქმეს ველარ შველის ქორქიას თავგანწირული თამაში — თბილისელთა დაცვა კედელმორღვეულ სიმაგრეს დაემსგავსა.

თუმცაღა, ვიდრე ეს ამბები დატრიალდებოდა, ვიდრე თბილისელები განიცდიდნენ ამ აუნაზღაურებელ დანაკლისს, 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო სპარტაკელთა რიგებს გამოაკლდნენ ბელოვი, სილანტიევი და მაკეევი. ეს კალათბურთელები რეკომენდაციებს არ საჭიროებენ, მაგრამ საქმეც ის არის, ლენინგრადელებმა შეძლეს მოედანზე [illegible]ვანათ მათი ასე თუ ისე სრულ[illegible] ცვლა. უფრო სწორად, ისინი [illegible]დეც იბრძოდნენ, მაგრამ უფრო[illegible] კოლეგების არყოფნის დროსღა გამოიღეს ფხა.

შემადგენლობის არათანაბრობა საერთოდ, კერძოდ კი გუშინწინდელ მატჩში ყველა მაჩვენებლით იგრძნობოდა. ქორქიამ 37 ქულა შესძინა გუნდს, დერიუგინმა — 27. დანარჩენების წვლილი ერთობ მცირეა. სპარტაკელთაგან ტარაკანოვმა — 21, კუზნეცოვმა და კაპუსტინმა 17-17, პავლოვმა და ბელოვმა — 16-16. და მეორეც: თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ-ორ წუთს, ამ ორთაბრძოლაში ფაქტიურად ექვსი დინამოელი მონაწილეობდა — ჩხიკვაძე, ბიჭიაშვილი, დერიუგინი, გულდედავა, ქორქია და გრძელიძე. „სპარტაკმა“ რვა კალათბურთელზე გაანაწილა დატვირთვა.

და კიდევ ერთი. მშვენივრად ითამაშა, მაგრამ ძალზე გაუჭირდა დერიუგინს, გაუჭირდა გამთამაშებელთა ერთადერთ წყვილს ჩხიკვაძე-გრძელიძესაც. პულავსკისა და ჩიხლაძის არყოფნა საგრძნობი დანაკლისია კოლექტივისთვის.

შეცდომათა ძიება მართლაც არ არის საჭირო. ყველაფერი იღონეს მწვრთნელებმა, თავდაუზოგავად ითამაშეს კალათბურთელებმაც. და მაინც გაიმარჯვა „სპარტაკმა“, რადგან დღეს ეს გუნდი ძლიერია „დინამოზე“. სწორედ ასე ვთქვათ, სასირცხვილო აქ არაფერია.

როცა სიტყვა ჩვენი გუნდის ხვალინდელ დღეზე ჩამოვარდება, ძნელია გვერდი ავუაროთ ერთ გარემოებას. ვისაუბროთ გულახდილად.

ცსკა-მ თბილისის ტური სერგეი ბელოვის გარეშე ითამაშა. გუშინწინდელი მატჩის პირველი რვა წუთი სპარტაკელთა ლიდერი ალექსანდრე ბელოვი სათადარიგო სკამზე იჯდა. იმვიათად, რომ თბილისელთა სასტარტო ხუთეულში არ იყოს მიხეილ ქორქია ან დერიუგინი, სხვაგვარად „დინამო“ ვერ ბედავს მატჩის დაწყებას. საქმე ის არის, რომ მოსკოველებსა და ლენინგრადელებს შეუძლიათ ასეთი ფუფუნების უფლება მისცენ თავს, თბილისის „დინამო“ ამას ვერ იზამს. ერთ მთავარ მიზეზზე უკვე ითქვა და ეს ყველასათვის ცნობილია. აი, მეორე კი...

კარგა ხანია, თაობათა ცვლის პროცესს საკმაოდ მტკივნეულად განიცდის ჩვენი გუნდი. რა თქმა უნდა, ამ პროცესის ხელოვნურად დაჩქარება, ერთბაშად ლიკვიდაცია ძალზე ძნელია, მაგრამ მიუღწევლობის საზღვრებსაც არ გადადის. მით უმეტეს, თუ ამ საქმეს ხვალინდელი დღის ანგარიშით გავხედავთ. თუმცაღა ამისთვის საკმაო ხარჯის გაღებაც იქნება საჭირო, პირველყოვლისა კი ჩვენი მხრიდან. საუბარია მოთმინებაზე — კალათბურთის მესვეურთა, მწვრთნელთა და თვით გულშემატკივარის მოთმინებაზე. ყოველ ჩემპიონატში, ყოველ ეტაპზე, ყოველ მატჩში გუნდისაგან კარგ თამაშსა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, შედეგს მოვითხოვთ. რაღა დასამალია და, ასეთ პირობებში ერთობ ჭირს მომავალზე ფიქრი, ერთობ ჭირს მართლაცდა პირველხარისხოვანი კოლექტივის შექმნა. ხომ ნათელია, რომ დღევანდელ თბილისის „დინამოს“ არ ძალუძს დიდი ამოცანების გადაწყვეტა, კოლექტივს სჭირდება ერთი ექსპერიმენტული წელიწადი, ერთი ისეთი წელიწადი მაინც, როცა კალათბურთელებიცა და მწვრთნელებიც შედარებით ნაკლებს იფიქრებენ სატურნირო მდგომარეობასა და შედეგებზე. პირდაპირ ვთქვათ, რომ ასეთი სულისმოთქმის საშუალებას ჩვენ — ეს ყველას გვეხება — არა და არ ვაძლევთ გუნდს.

რა თქმა უნდა, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ძირითადი შემადგენლობა ერთბაშად ახალბედებით გავავსოთ. მაგრამ იმის შიშით, რომ 18-19 წლის ჭაბუკი მაინცდამაინც კარგად ვერ ითამაშებს, იმის შიშით, რომ ვაი თუ დავმარცხდით, ავდგეთ და ერთ კალათბურთელს ქანცი გავუწყვიტოთ 48 წუთის განმავლობაში, რაც საბოლოოდ ბევრი ვერაფერი სიკეთითაც მთავრდება, არა მგონია სწორი იყოს. თუმცაღა, ესეც ჩვენი ბრალია — დღეს აუცილებლად გამარჯვება გვესაჭიროება, ხვალ — ოთხეული, ზეგ მედლებს მოვითხოვთ. ამით კი მხოლოდ იმას მივაღწევთ, რომ ახალგაზრდა სპორტსმენთა მეტ წილს, რამდენიმე წელიწადში ქართული კალათბურთის ღირსების დაცვა რომ მოუწევს, მაშინღა ვიხილავთ ძირითად შემადგენლობაში, როცა მათ გვერდით აღარ იქნებიან ქორქია და ჩიხლაძე, ისინი, ვისგანაც ბევრი რამის სწავლა, მხარდამხარ ბრძოლა სწორედ ახლა, დღესვეა საჭირო.

მატჩის შემდეგ თავისი შთაბეჭდილება გაგვიზიარეს მსაჯებმა.

**მ. ვაინკოპი:** სავსებით ლოგიკურია, რომ სპარტაკელთა თანაბრად დაკომპლექტებულმა კოლექტივმა აჯობა „დინამოს“ ექვს კალათბურთელს. თვითონ განსაჯეთ, მას შემდეგაც კი, როცა მოედანი დასტოვეს ბელოვმა, სილანტიევმა, მაკეევმა, „სპარტაკს“ ეყო საიმისო ძალა, რომ შეხვედრა გამარჯვებამდე მიეყვანა.

**ი. აბუჩი:** ახალ წესებს ყოველთვის ახალი მოთხოვნები მოაქვს. არ ვიცი, რამდენად სასარგებლოა ეს რეფორმა, მაგრამ მაინც საეჭვოა, რომ მატჩების ხანგრძლივობის 8 წუთით გაზრდამ რაიმე შესძინოს საბჭოთა კალათბურთს. დღეს უკვე ნათელია, რომ ეს ახალი წესები ყველაზე მეტად ორ კოლექტივს ცსკა-სა და ვეფ-ს მოუხდა. ორივეს საკმაოდ „გრძელი სკამი“ აქვს. ისე კი, თუ მაინცდამაინც საჭირო იყო 48 წუთიან მატჩებზე გადასვლა (ეს პროფესიონალთა მატჩების ხანგრძლივობაა), მაშინ უთუოდ უნდა მიგვემართა 6 ფოლიანი სისტემისთვისაც. ასე უფრო ბუნებრივი იქნებოდა.

**ი. ბერიაშვილი.**

* * *





სურათებზე: მ. ქორქია სპარტაკელთა ალყაში; ბურთით — ლ. ჩხიკვაძე.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

**გუშინწინ** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში კიდევ ერთი მატჩი შედგა.

მოსკოვის „დინამომ“ უმასპინძლა კაუნასის „ჟალგირისს“. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 127:107 (66:57). გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ხარჩენკოვი — 26 ქულა, ხოლო კაუნასელთაგან ლინკიავიჩუსი — 28 ქულა.

ფარიკაობა

[illegible] 20 თებერვალი. 24 წლის ტაშკენტელმა სამხედრო მოსამსახურემ საბირ რუზიევმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა მოფარიკავეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის — „კიევური რაპირის“ გამარჯვებულის წოდება. II ადგილზე გავიდა ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, მინსკელი ა. რომანკოვი, III ადგილი მოსკოველ ბ. ფომენკოს ხვდა.

ტურნირში მონაწილეობდა უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, გფრ-ისა და სსრ კავშირის 120 სპორტსმენი.

## ევროპული ტურნირები

**პოლონეთის** ქალაქ სოსნოვეცის „პლომენი“ გახდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი ფრენბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. ამ ტურნირის ფინალში, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ბაზელში მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ჰოლანდიის „სტარლიფტი“, ჩეხოსლოვაკიის „აერო“ და თურქეთის „ბორონკაი“. პოლონეთის გუნდმა სამივე მეტოქე დაამარცხა.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში სამმა გუნდმა — ჩეხოსლოვაკიის „რუდა გვეზდამ“, პოლონეთის აზს-მ და იტალიის „პაოლეტიმ“ 2-2 ქულა დააგროვეს, მაგრამ პარტიების უკეთესი სხვაობის გამო პირველობა და თასი ჩეხოსლოვაკიელებს ერგოთ.

საბჭოთა გუნდები ამ ტურნირებში არ მონაწილეობდნენ.

ფეხბურთი

## მოსკოვის „სპარტაკი“ ბულგარეთში

ბლაგოევგრადში მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა მატჩი გამართეს ადგილობრივ კლუბ „პირინთან“. შეხვედრა ფრედ 1:1 დამთავრდა. მოსკოველთაგან გოლის ავტორია პავლენკო, რომელმაც მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე გაათანაბრა ანგარიში. მანამდე სპარტაკელებმა მატჩი გამართეს პაზარჯიკში ადგილობრივ გუნდ „ბენკოვსკისთან“ და გაიმარჯვეს 2:0. გოლები გაიტანეს ლოვჩევმა და იარცევმა.

ჩოგბურთი

**ვაშინგტონი.** იზრდება ამერიკის საზოგადოების პროტესტი აშშ-ში დევისის თასის გათამაშებაში სამხრეთ აფრიკის ჩოგბურთელთა მონაწილეობის გამო. კერძოდ, „აპარტეიდის ქვეყნის“ სპორტსმენთა ვიზიტის წინააღმდეგ გამოდის ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ასოციაცია. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ბენჯამინ ჰუკსმა განაცხადა, რომ თუ სამხრეთ აფრიკელი ჩოგბურთელების მოწვევას არ გააუქმებენ, ნეშვილში (სადაც დაგეგმილია მატჩის ჩატარება) პროტესტის ნიშნად მოეწყობა ხალხმრავალი დემონსტრაცია (საკდესი).

## სირბილით... ცათამბჯენზე

**ნიუ იორკი.** 12 მამაკაცი და 3 ქალი, რომელთა უმრავლესობა უკვე გამოცდილი მარათონელია, მონაწილეობდა არაჩვეულებრივ შეჯიბრებაში — მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობის — ემპაირ სტეიტ ბილდინგის — 1575 საფეხურის არბენაში მონაწილეებმა სტარტი ამ ცათამბჯენის ჰოლში აიღეს. 12 წუთისა და 32 წამის შემდეგ 400 მეტრი სიმაღლის 86-ე სართულის მოედანზე პირველი ავიდა ამერიკელი ჰერი მარკე. ქალებში ყველას აჯობა მარსი შვემმა — 15.16. 37 წლის მარკე კმაყოფილია თავისი შედეგით: „შარშანდელ საერთაშორისო გარბენში ლონდონი — ბრაიტონი მე პირველი ვიყავი ამერიკელ სპორტსმენებში, მაგრამ პრიზიორთა შორის ვერ მოვხვდი. გამარჯვებამ გამახარა, თუმცა უეჭველია, გამოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც ჩემს წარმატებას კურიოზების გრაფაში შეიტანენ“ (საკდესი).

თანამედროვე ხუთჭიდი

# პირველი სტარტები

**საქართველოს** თანამედროვე ხუთჭიდელებმა წლევანდელი სეზონის სტარტი ამ რამდენიმე დღის წინათ აიღეს. რესპუბლიკის თასის გათამაშებაში მასპინძელთა 5 კოლექტივთან („დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ 2-2 და „სპარტაკის“ გუნდი) ერთად სომხეთის ნაკრებიც მონაწილეობდა. საასპარეზოდ 45 სპორტსმენმა მოიყარა თავი, რაც არცთუ ისე ხშირია რესპუბლიკაში გამართულ ხუთჭიდელთა შეჯიბრებებში. მართალია, სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები წლეულს პირველად „შეეჭიდნენ“ ერთმანეთს და, ბუნებრივია, შედეგებიც მოკრძალებული ჰქონდათ, მაგრამ ცალკეულმა სპორტსმენებმა მაინც გამოიჩინეს თავი. მაგალითად, დინამოელებმა გ. ბატრაკოვმა (IV ადგილი) და ს. მაკაროვმა (VI), პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი, ხოლო ორმა სპორტსმენმა ოსტატობის შედეგი გაიმეორა.

საერთო ჩათვლაში „დინამოს“ პირველმა გუნდმა იმარჯვა (15194 ქულა) და გარდამავალი თასს დაეუფლა. მეორე იყო „ბურევესტნიკის“ პირველი კოლექტივი (14711), III ადგილზე გავიდა სომხეთის ნაკრები — 14396.

პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგი აჩვენა ბურევესტნიკელმა ა. ლუცენკომ — 5175 ქულა. შემდეგ მოდიან სომხეთის გუნდის წევრები მ. რაფაელიანი (5145) და კ. გასპარიანი (5108).

ნორჩ ხუთჭიდელთა ასპარეზობაში დინამოელმა გ. პენზევმა იმარჯვა — 4722 ქულა, II ადგილზე თ. ჯინჭველაძე („ბურევესტნიკი“, 4583) გავიდა. მესამე იყო დინამოელი ლ. კაპანაძე (4535).

**დ. ტატიშვილი.**

რედაქტორი **ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვუსა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზ. კულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 09950